საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია

რეგისტრაციის № 5/9-806 [3.12.03]

Registration # 5/9-806 [3.12.03]

Association of Family Doctors of Georgia

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა დისკრიმინაციის მიმართ

შინაარსი

შესავალი 1

დისკრიმინაციის და სექსუალური შევიწროვების განმარტება 2

პრევენცია 2

რეპორტინგის პროცედურა 3

პოლიტიკის დარღვევა 4

შურისძიება 4

განხილვა და გადახედვა 4

შესავალი

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია მოწოდებულია უზრუნველყოს სამუშაო გარემო, რომელიც თავისუფალი იქნება დისკრიმინაციისა და შევიწროებისგან, მათ შორის სექსუალური შევიწროებისგან. ეს პოლიტიკა ვრცელდება ასოციაციის ყველა წევრზე, პროექტის ფარგლებში დასაქმებულ პირებზე, მოხალისეზე, სტაჟიორზე, კონტრაქტორზე და ნებისმიერ პირზე, ვინც წარმოადგენს საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციას.

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ძირითადი გუნდი არის პროექტების განმახორციელებელი ჯგუფი 5 პირის შემადგენლობით. განსახორციელებელი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯგუფის შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს ან გაფართოვდეს სხდომის გადაწყვეტილების. ასოციაციის წევრები არ იმყოფებიან ანაზღაურებად პოზიციებზე, მათ შორის არც ასოციაციის პროექტების განმახორციელებელი ჯგუფი. შრომითი ანაზღაურების გაცემა ჯგუფის წევრებზე ან ასოციაციის სხვა წევრებზე ხდება მხოლოდ პროექტების ფარგლებში დასაქმების და სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

დისკრიმინაციის და სექსუალური შევიწროვების განმარტება

ამ დოკუმენტში **დისკრიმინაცია**, მათ შორის სექსუალური შევიწროვება განიმარტება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-ს და საქართელოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ" მიხედვით.

დისკრიმინაციად (მათ შორის, სექსუალურ შევიწროებად) მიიჩნევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით." [i]

პირის შევიწროება გულისხმობს სქესის ნიშნით პირის დევნას, იძულებას ან/და პირის მიმართ არასასურველ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.[ii]

სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას." [i]

დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან და სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.[iii]

დაუშვებელია გენდერული კუთვნილების გამო პირის დევნა, შევიწროვება, ან არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს მისი ღირსების შელახვას, შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ან სამსახურებრივი წინსვლის შეფერხებას ან აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

პრევენცია

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია აცხადებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ყველა ტიპის დისკრიმინიაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროვების მიმართ.

ასოციაციის ძირითადი გუნდის წევრები არიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლები და ისევე, როგორც სხვა სასწავლო დაწესებულებში, რეგულარულად მოწმდებიან შესაბამის რეესტრებში სექსუალური

ტიპის დანაშაულის ჩადენაზე. ამ შემოწმებაზე ასოციაციის ყველა აქტიურ წევრს თანხმობა აქვს გაცხადებული თსსუ-სთვის და შემოწმება ხდება ცენტრალიზებულად.

ასოციაციის თავმჯდომარე და გამგეობის წევრი, გურამ კიკნაძე და გივი ჯავაშვილი არიან ავტორები საქართველოს კანონებისა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში - კანონები „ჯანმრთელობის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და კანონები, რომლებიც არეგულირებენ ჯანდაცვის სხვადასხვა სფეროს (აივ ინფექცია/შიდსი, ფსიქიატრია და სხვა). ასევე მათი მომზადებულია საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი და ექიმის პროფესიული საქმიანობის წესები.

ასოციაციის სამუშო ჯგუფიდან 3 პირს, ნინო კიკნაძეს, ქეთევან ხეცურიანს და თამარ მელიქიძეს გავლილი აქვთ UNFPA-ს მიერ მომზადებული დასწრებული 8 საათიანი ტრენინგი „ჯანდაცვის სექტორის პასუხი გენდერულ ძალადობაზე“.

სამუშაო ჯგუფის წევრი, ნინო კიკნაძე არის ამ ტრენინგის პაკეტის ერთ-ერთი შემმუშავებელი და სოპ-ის ავტორი, ასევე, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის „გაუპატიურების მსხვერპლთა დახმარება გადაუდებელ სიტუაციებში“ ავტორი.

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია აცხადებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას დისკრიმინაციის, მათ შორის სექსუალური შევიწროვების შესახებ როგორც სამუშო, ასევე, სასწავლო და სხვა ნებისმიერ გარემოში.

საქართელოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია აცნობს ამ პოლიტიკას ასოციაციის აქტიურ წევრებს და სხვადასხვა პროექტების ფარგლებში დასაქმებულ პირებს.

რეპორტინგის პროცედურა

ნებისმიერმა პირმა, რომელიც თვლის, რომ განიცადა, ან შეესწრო სექსუალურ შევიწროვებას, დაუყვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ ასოციაციის პროექტების განმახორციელებელი ჯგუფის წევრებიდან მინიმუმ ორს.

ყველა პირს, რომელიც დასაქმებულია ნებისმიერი პროექტის ფარგლებში, ამ დოკუმენტის გაცნობისას მიეწოდება სამუშო ჯგუფის წევრების მეილები, ასევე, ძალადობის ცხელი ხაზის უფასო ნომერი, სადაც შეუძლია გაიაროს კონსულტაცია და მიმართოს სოციალურ და სამართალდამცავ ორგანოებს მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად.

ასოციაციის სამუშო ჯგუფის მეილები: გურამ კიკნაძე (ასოციაციის თავმჯდომარე), g.kiknadze@tsmu.edu; სამუშაო ჯგუფის სხვა წევრები - gjavashvili@tsmu.edu; n.kiknadze@tsmu.edu, t.melikidze@tsmu.edu; k.khetsuriani@tsmu.edu .

შეტყობინება სექსუალური შევიწროვების ან დისკრიმინაციის სხვა ფორმის შესახებ განიხილება სამუშო ჯგუფის მიერ სრული შემადგენლობით.

კონფიდენციალურობა დაცული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში.

პოლიტიკის დარღვევა

პოლიტის დარღვევა გამოიწვევს შესაბამის ქმედებას, მათ შორის, შრომის ხელშეკრულების ან წევრობის შეწყვეტას. ყველა საჩივრის განხილვა მოხდება მიუკერძოებლად სამუშო ჯგუფის მიერ. თუ შევიწროვების ბრალდება მიმართულია ასოციაციის სამუშო ჯგუფის წევრის მიმართ, საკითხი განიხილება სხდომაზე მისი მონაწილეობის გარეშე. თუ საქმე ეხება არასრულწლოვანი პირის მიმართ სექსუალურ შევიწროვებაზე ბრალდებას, საქმის აღმძრავს ეძლევა რეკომენდაცია, მიმართოს სოციალურ ან სამართალდამცავ ორგანოებს, უარის შემთხვევაში ასოციაციის სამუშო ჯგუფი თავად მიმართავს აღნიშნულ ორგანოებს.

ზემოაღნიშნულის გარდა, სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც.

შურისძიება

დაუშვებელია შურისძიება ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც აკეთებს კეთილსინდისიერ ანგარიშს სექსუალური შევიწროების შესახებ ან მონაწილეობს გამოძიებაში. ნებისმიერი ასეთი შურისძიება არის ამ პოლიტიკის დარღვევა და გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

განხილვა და გადახედვა

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი გადაიხდება და საჭიროებისას განახლდება მისი ეფექტურობისა და მოქმედ კანონებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის გადახედვის მინიმალური ვადაა 3 წელი.

წინამდებარე ვერსიის დამტკიცების თარიღია 30/05/2022.

მომდევნო გადახედვის თარიღი: 30/04/2024

გურამ კიკნაძე

ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

30 მაისი, 2022 წელი

[i] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ მუხლი 4
[ii] საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მუხლი 6